

თეა ბურჭულაძე

ზოგი კავშირის ნორმატიული საკითხისათვის თანამედროვე ქართულში

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. ამათგან, არსებითი სახელით გადმოიცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება და გარემოება [კვაჭაძე 2010: 395]. სწორედ ამის შესაბამისად ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაში შემავალ ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე წევრს.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება მიმართებითი ნაცვალსახელებით (ვინც, რაც, რომელიც, როგორც, რამდენიც...), მიმართებითი ზმნიზედებით (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როცა, როდესაც...), მაქვემდებარებელი კავშირებით (რომ, თუკი, სანამ, ვითომ, თითქოს...). თანამედროვე ქართულში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ისეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მაკავშირებელ საშუალებად იყენებენ **სადაც, საიდანაც, როდესაც, როცა** კავშირებს. ჩვენი დაკვირვებით, სასაუბრო მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაშიც ფართოდაა გავრცელებული აღნიშნული კონსტრუქციის წინადადებები. განსაკუთრებით ხშირია ის საზოგადოებრივი ინფორმაციის ენაში (როგორც ბეჭდურ, ისე ტელე- და რადიომედიაში). დასტურდება თარგმნილ ტექსტებშიც. მაგალითად:

„რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, როცა გადაწყვეტილება არსებობდა და ვიღაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის!“, „ხომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ინფორმაციის გავრცელება სხვა არავითარ მიზანს არ ისახავს, გარდა ინფორმაციის გავრცელებისა?“, „არსებობს ისეთი გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით“, „ქვეყნად არ მოიძებნება ისეთი მაღაზია, სადაც მეგობრის შეძენა შეიძლებოდა“, „ნაიბმა კარგად იცოდა წადილი და მეცადინეობა მისი და ამიტომ ყოველ-

თვის გზაში დაახვედრებდა ხოლმე ჩასაფრებულს ლეკებს იმისთანა ადგილას, **სადაც** ერთი ჩასაფრებული ოცსა და ორმოც ვაჟკაცს გზას შეუკრავდა”; „სწორედ მაშინ გადავწყვიტე მოდერიზებადი ისეთი მეილ-ლისტი გამეკეთებინა, **სადაც** ლოიალურ ატმოსფეროს შევინარჩუნებდი და მივცემდი მას საშუალებას მსურველებისათვის რაიმე ესწავლებინა”; „მთელი საქართველოს მასშტაბით შესაძლოა 150-მდე უბანი დარჩეს ისეთი, **სადაც** ამომრჩეველთა რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბოს”; „დღეს ბევრი წერტილია ისეთი, **სადაც** ადამიანს შეუძლია მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონტაქტი დაამყაროს”; „ჩატარდა საერთო კრება, **სადაც** გაანალიზეს შედეგები“.

ცნობილია, რომ ეს მიმართებითი ზმნისართები ძირითადად გამოიყენება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. „თუ როდის რა სახის დამოკიდებულ წინადადებად უნდა ჩავთვალოთ ის, ამას მთავარი წინადადების შედგენილობა, მისი კონსტრუქცია განსაზღვრავს“ [კვაჭაძე 2010: 397-398]. ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: 1. რატომ იყენებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა კავშირებს?; 2. სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით ხომ არ საჭიროებს გარკვეულ შეზღუდვებს?

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს კითხვა ადრეც დაისვა. აღინიშნა, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში **სადაც/საიდანაც** და **როდესაც/როცა** მიმართებითი ზმნისართების კავშირებად გამოიყენების შემთხვევები ძველ ქართულშივე მრავლად დასტურდება. ლ. ლეჟავას თვალსაზრისით, ამის გასაღები თვით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა მოიძებნოს: დამოკიდებულ წინადადებას სჭირდება დროისა და ადგილის გარემოება და ამიტომ კავშირად იყენებს დროის ან ადგილის ზმნისართს, რომელიც სათანადო წევრადაც გამოდგება დამოკიდებულში [ლეჟავა 1981: 52]. ანალოგიურია მსჯელობა ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების შემთხვევაშიც, როცა მათ წევრ-კავშირად გამოიყენება ადგილისა და დროის მიმართებითი ზმნისართები, ან მიმართებითი **ვინც, რაც** ნაცვალსახელები [ლეჟავა 1981: 57].

ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ მსგავსი წინადადებები ახლაც ხშირად გამოიყენება როგორც თანამედროვე, ისე XIX-XX საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში: „თვალთ შორიდანვე სოფელში შეიგულა ისეთი ადგილი, **სადაც** მთელი დღე კაციშვილი არ

გაიჭაჭანებდა“ (ფანჯ.); „საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა იმ გორაკზე დაასაფლავეს, **სადაც** გუმინ სასამართლო მოუწყვეს“ (ჩოხ.); „იმერთის დაპყრობის ჟამს ეს იყო უკნასკნელი ციხე, **საიდანაც** იმერლები იგერიებდნენ მტრის ჯარის შემოტევას“ (აკაკი); „მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, **სადაც** არავინ მელოდა“ (ბიბ.); „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, **როცა** მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“ (გამს.); „ეს ის წამი იყო, **როცა** მიქელანჯელოს ადამი ენთება...“ (რობ.); „ეს იმ წამს მოხდა, **როცა** ბერზინმა თავისი შუშის თვალების ბასილისკური მხერა მასზე შეაჩერა“ (რობ.); „არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, **როცა** ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს“ (ილია); „ჩავა კანტორაში და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დასასვენებელ საგზურს სთხოვს სადმე ისეთ ადგილზე, **სადაც** ბევრი ნაძვია“ (ჩოხ.); „ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, **როცა** ჩემი მისამართით ხმამალა ყვიროდა ბატონი საშა“ (იოს.).

სადაც წევრ-კავშირის რთულ წინადადებაში გამოყენების თაობაზე მითითებულია, რომ ძალზე ხშირად დასტურდება იქ, სადაც ის მთავარი წინადადების ადგილის გარემოებას კი არა, არამედ რომელიმე სხვა წევრს მიემართება. ნორმატიული თვალსაზრისით კი შენიშნულია, რომ „ამგვარ შემთხვევებში, სრულიად ბუნებრივია, უნდა გამოვიყენოთ წევრ-კავშირი **რომელიც** (რომელსაც, რომელზეც, რომელშიც...). ასევე უმჯობესია წევრ-კავშირი **რომელიც** გამოვიყენოთ მაშინაც, როდესაც მთავარ წინადადებაში ადგილის გარემოება კი მოიპოვება, მაგრამ წევრ-კავშირი სინამდვილეში მის მსაზღვრელს მიემართება“ [არაბული 2004: 168].

ვფიქრობთ, დასახელებული ტიპის წინადადებებში **სადაც/საიდანაც, როცა/როდესაც** კავშირი გამოიყენება ძირითადად ისეთ კონსტრუქციებში, როცა მას მთავარ წინადადებაში ახლავს კორელატი (ჩვენებითი ნაცვალსახელები). გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კი ყოველთვის არ მოიპოვება მისათითებელი სიტყვა [ბურჭულაძე 2014: 113]. გარდა ამისა, დასახელებულკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარი წინადადების არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს **მიემართება დამოკიდებული წინადადების არა რომელიმე შესაბამისი წევრი** (როგორც ეს **რომელიც, როგორიც** კავშირების შემთხვევაშია), **არამედ მთლიანად წი-**

ნადადება განსაზღვრავს მთავრის მისათითებელ წევრს, უფრო ზოგადი შინაარსით ახასიათებს მას. აღნიშნული სახის წინადადებებში კორელატი იმავე ბრუნვაში კი დგება, რომელ სიტყვასაც განსაზღვრავს, მაგრამ რაკი მთავარს უკავშირდება მიმართებითი ზმნიწედებით, ამიტომ სინტაქსური დამოკიდებულება არ ჩანს. ასეთი შინაარსის კონსტრუქცია მოითხოვს **როცა/როდესაც, სადაც/საიდანაც** კავშირებს. მაგალითად, წინადადებას „ექვმიტანილმა სამართალდამცველებს უჩვენა ის ადგილი, სადაც გასაღები და გილზა გადააგდო“ – შინაარსობრივად ვერ ჩავანაცვლებთ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის ბუნებრივი **რომელიც** წევრკავშირით – ექვმიტანილმა სამართალდამცველებს უჩვენა ის ადგილი, **რომელზეც** გასაღები და გილზა გადააგდო; „დღეს ბევრი წერტილია ისეთი, **სადაც** ადამიანს შეუძლია მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონტაქტი დაამყაროს” – „დღეს ბევრი წერტილია ისეთი, **რომელშიც** ადამიანს შეუძლია მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონტაქტი დაამყაროს”. ამ წინადადებაშიც არ ხერხდება დასახელებული შინაარსით სხვა წევრ-კავშირის ჩასმა.

ამის პარალელურად, გვაქვს ისეთი კონსტრუქციებიც, როცა შინაარსობრივად შესაძლებელია **რომელიც** წევრ-კავშირის გამოყენება **სადაც** ფორმის ნაცვლად: „ერთი მაღაზიაც ვერ ნახა ისეთი, სადაც სიგარეტს შეიძენდა“; „არც ეს პაზი იყო ისეთი, **სადაც** ესენი იკრიბებიან“ – ერთი მაღაზიაც ვერ ნახა ისეთი, **რომელშიც** სიგარეტს შეიძენდა; არც ეს პაზი იყო ისეთი, **რომელშიც** ესენი იკრიბებიან. მაშასადამე, მასალაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში ბუნებრივია მხოლოდ განსაზღვრებითი წევრ-კავშირის გამოყენება, ზოგჯერ კი ეს ხელოვნურ ფორმას იღებს. აღნიშნული ტიპის წინადადებისათვის თუ საერთო ნორმატიული წესი იქნება **რომელიც** (რომელსაც, რომელზეც, რომელშიც...) წევრ-კავშირის გამოყენება, ზემოთ მოყვანილი სახის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში როგორ მოვიქცეთ? როგორ განვსაზღვროთ, სად და რა შემთხვევაში გამოვიყენოთ **რომელიც** კავშირი? ცხადია, რომ ეს წესი ყველა შემთხვევაში ადეკვატურად ვერ მოქმედებს. მოყვანილ წინადადებებში უფრო ადგილის შინაარსის გაგება წამოიწვევს წინ, ვიდრე შესაბამისი წევრის განსაზღვრებისა. ამიტომაცაა, რომ დასახელებულ შემთხვევებში გამოიყენება გარემოებითი დამოკიდებული წი-

ნადადების მიმართებითი ზმნიზედები. შესაბამისად, ვერ დადგება მათი ნორმატიული თვალსაზრისით დარღვევის საკითხიც.

მსგავს წესს ვერ გამოვიყენებთ ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში, სადაც **როცა/როდესაც** წევრ-კავშირები დასტურდება. ასეთ კონსტრუქციებში სხვა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის უფრო ბუნებრივ წევრ-კავშირს ვერ ჩავსვამთ. ნორმატიული წესი კი, ზოგადად, ყველა შემთხვევას უნდა ითვალისწინებდეს. ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებშიც დასტურდება კორელატი **ისეთი**, ტრადიციულად, შეესატყვისება ხოლმე **როგორიც/რომელიც** კავშირი (ისეთი – როგორიც, ისეთი [მხატვრები] – როგორებიც, ისეთი – რომელიც). შესაძლოა თუ არა ასეთი კონსტრუქციის მქონე წინადადებაში **როგორიც** კავშირის ჩანაცვლება **როცა/როდესაც** კავშირების ნაცვლად? მაგალითად, „რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, **როცა** გადაწყვეტილება არსებობდა და ვილაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის!“ – რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, **როგორიც/რომელიც** გადაწყვეტილება არსებობდა და ვილაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის! ან კიდევ: „არსებობს ისეთი გარდამავალი წამი, **როცა** საკუთარი თავი ყველამ ვიცით“ – არსებობს ისეთი გარდამავალი წამი, **როგორიც/რომელიც** საკუთარი თავი ყველამ ვიცით. ცხადია, რომ ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, ასეთ კონსტრუქციებში შინაარსობრივად სჭარბობს დროულობის გაგება, აგებულება კი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა აქვს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მრავლად დასტურდება მსგავს კონსტრუქციებში **სადაც** და **როცა** კავშირები: „ინდოევროპულ ენებში ფართოდაა შესწავლილი და აღწერილი ტრანზიტვიზაციის ისეთი მოდელი, **სადაც** ზმნისწინი გავლენას ახდენს ზმნის ვალენტობაზე“; „გამოყოფილია ის ძირითადი პოზიციები, **სადაც** იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი ხმოვანთკომპლექსები“; ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, **როცა** ამა თუ იმ სახის შესაძლებლობა-ეგებისობის სემანტიკა კითხვაშივეა წარმოდგენილი“...

ვფიქრობთ, დღეს გახშირებული დასახელებული კონსტრუქციების გამოყენება ნორმატიული ხარვეზი, ან უცხო ენის გრამატიკის გავლენა კი არაა, არამედ უშუალოდ ქართულ ენაში საუკუნე-

ბის განმავლობაში არსებული ტენდენციების გამოვლენაა. ამიტომ დასახელებული ტიპის წინადადებებში ზოგჯერ **როცა/როდესაც** და **სადაც/საიდანაც** წევრ-კავშირები არცთუ ისე უადგილო და მოულოდნელია. ამდენად, ასეთი კონსტრუქციები მისაღებად უნდა მივიჩნიოთ და მას დარღვევის კვალიფიკაცია არ უნდა მივანიჭოთ.

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

ბურჭულაძე 2014 – თ. ბურჭულაძე, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, თბილისი.

ლეჟავა 1981 – ლ. ლეჟავა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

Tea Burchuladze

On Normative Issues of Some Connectors in Modern Georgian

Summary

Definitive subordinate clauses with the connectors **sadac**, **saidanac**, **rodesac** and **roca** are more and more often used in modern Georgian. Such constructions express the meaning of time and place but they have a structure of a definitive subordinate clause. That's why in such cases using the connectors **romelic/rogoric** that are typical to a definitive subordinate clause seems artificial.

Using the said constructions is not a result of an influence of a foreign language or a normative default but it is the expression of the tendencies existing in the Georgian language throughout the centuries. So, in some cases using the member-connectors **roca/rodesac** and **sadac/saidanac** is not inappropriate and unexpected. Thus, such constructions should be considered to be acceptable.